

ქონებრივი ურთიერთობების დაცვის მექანიზმები  
არარეგისტრირებული ქორწინებისას საქართველოში

ანა იმერლიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო (ბიზნეს)

სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

დღევანდელ რეალობაში საკმაოდ გახშირებულია არარეგისტრირებული ქორწინება, რაც შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული საკანონმდებლო სივრცე აღნიშნულ საკითხს არ არეგულირებს, პრაქტიკაში ვხვდებით არარეგისტრირებული ქორწინებიდან წარმოშობილ სამართლებრივ დავებს, რომლის გადაჭრის გზებიც რეგულირებული არ არის. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ სახეზეა სამართლებრივი სიცარიელე არარეგისტრირებულ ქორწინებასთან მიმართებით.

საქართველოში არარეგისტრირებული ქორწინებიდან წარმოშობილი ქონებრივი საკითხების სამართლებრივი რეგულირების შესახებ, იურიდიული კვლევის განსაკუთრებული ნაკლებობაა. როგორც წესი, იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია ზოგადი პრობლემა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა იგი არ მოიცავს მის ძირეულ განხილვას.

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს შესაბამისი ნორმატიული მოწესრიგება, გაურკვეველია არარეგისტრირებულ ქორწინებაში წარმოშობილი ქონების ბედი. ნაშრომში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ პერიოდში შეძენილი ქონება უნდა მივიჩნიოთ მხარეთა წილობრივ საკუთრებად და არა მათ თანასაკუთრებად, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს რეგისტრირებული ქორწინება. საქართველოს საკანონმდებლო სივრცით აუცილებელია გარანტირებული იყოს ქონებრივი ურთიერთობების დაცვის მექანიზმები არარეგისტრირებული ქორწინების დროს. ეს კი შესაძლებელია მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი თავის ჩამატებით.

## **Abstract**

Unregistered marriage has become more often in today's reality, which needs appropriate legal regulation. Due to the fact, that Georgian legislative space doesn't regulate the mentioned issue, we meet legal disputes originated from unregistered marriage, the ways of which are not regulated. The above mentioned issue means that we meet legal emptiness towards unregistered marriage.

There is a big lack of legal research, about legal regulations of property relations, originated from unregistered marriage in Georgia. As a rule, general problem about the mentioned issue in legal literature is discussed, however it does not include its fundamental discussion.

Due to the fact, that there does not exist appropriate normative regulation, it is too unclear what happens to the property, originated during unregistered marriage. We get close to the conclusion that the property, purchased during unregistered marriage should be regarded as a shared property for the parties, not their common property, because there is not a registered marriage. According to the Georgian legislation, mechanisms for protection of property relations are necessary to be guaranteed in case of unregistered marriage. And this is possible to happen, only after adding appropriate chapter in Civil Code of Georgia.